G-MEDIA პროგრამა ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით

გთავაზობთ სტაჟირების პროგრამას მომავალი ჟურნალისტებისთვის – „იმუშავე და ისწავლე რადიო თავისუფლებასთან ერთად“

მათ, ვინც ჟურნალისტის პროფესიას ეუფლება და უნდა მიიღოს მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, რადიო თავისუფლება სთავაზობს სტაჟირების ორთვიან კურსებს.

ორი თვის განმავლობაში თქვენ შესაძლებლობა გექნებათ იმუშაოთ რადიო თავისუფლების ჟურნალისტებთან ერთად. პრაქტიკაში დაეუფლოთ თანამედროვე ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს. იმუშაოთ რეალური ნიუსრუმის რეჟიმში.

მულტიმედია პლატფორმაზე დამყარებული სწავლების მეთოდი შესაძლებლობას მოგცემთ, თანამედროვე მედიის ყველა საშუალებაში მუშაობისათვის მოსინჯოთ თქვენი ძალები.

- ახალი მედია, რადიო, ტელევიზია, გაზეთი...
  როგორ გადავაქციოთ სიტყვები სახეებად, ყოველდღიური ცხოვრება საინტერესო მონათხრობად. როგორ აღმოვაჩინოთ, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

- ჩვენ ძალიან ბევრს ვიმუშავებთ, მოვისმენთ ბევრს და დავწერთ კიდევ უფრო მეტს და შევეცდებით, გავარკვიოთ რატომ არის ჟურნალისტის პროფესია ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და, ამავე დროს, ყველაზე საინტერესო და მომხიბვლელი.

- თქვენ შესაძლებლობა გექნებათ იმუშაოთ რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროში, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღჭურვილ თანამედროვე მულტიმედიურ ნიუსრუმში (MEC) ჟურნალისტური საქმიანობისათვის საჭირო უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

- ყოველ 2 თვეში, 10 სტუდენტი შეძლებს რადიო თავისუფლების სტაჟირების პროგრამის გავლას. ისინი საგანგებო კონკურსის შედეგად შეირჩევიან. შესარჩევი კონკურსი გულისხმობს გასაუბრებას.

მსურველებმა უნდა შეავსონ ფურცლის მეორე გვერდზე წარმოდგენილი განაცხადი.

სწავლება ფასიანია.
ყოველ ნაკადში დაფინანსდება ერთი სტიპენდია (საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის).

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება და შეკითხვების გამოგზავნა შეგიძლიათ
რადიო თავისუფლების ვებსაიტზე www.radiotavisupleba.ge
და Facebook-ზე
შეკითხვები და შევსებული განაცხადი გამოგზავნეთ მისამართზე:
tavisupleba.school@gmail.com

რადიო თავისუფლების მედიასკოლა – „თავისუფლების“ გამოცდილება თავისუფლების სამსახურში!

გარკვევით შეავსეთ
განაცხადი რადიო თავისუფლების
მედიასკოლის სტაჟირების პროგრამისათვის

ფოტო

აქ მიამაგრეთ თქვენი ფოტო. ფოტოს უკანა მხარეს მიწერილი უნდა იყოს თქვენი სახელი და გვარი

1) განმცხადებლის სახელი და გვარი

.....

2) დაბადების თარიღი და ადგილი -

დღე /თვე / წელი

.....

3) სასწავლო დაწესებულება

.....

4) მოქალაქეობა

.....

5) მისამართი *(ქვეყანა / ქალაქი / ქუჩა / შენობა / ბინა)*

.....

6) ტელეფონი .....

7) მობილური .....

8) ი-მეილი .....

9) ფაქსი .....

გთხოვთ, განაცხადს თან დაურთოთ:

– სამოტივაციო წერილი (რატომ დაინტერესდით ჟურნალისტიკით, რას გინდათ მიაღწიოთ ჟურნალისტიკაში, რას ნიშნავს იყო ჟურნალისტი... და ა.შ.)
სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას;

– სასურველია წარმოადგინოთ სწავლის განმავლობაში შესრულებული ჟურნალისტური ნაშრომი;

– CV (Curriculum Vitae).